ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N19

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 28.12.2020 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, რობიზონ ფუტკარაძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ეთერ ჭიჭინაძე, დავით ხარძეიშვილი, ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, ბიჭიკო პაიკიძე, დავით კაკაბაძე, მერაბ ხურციძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში - **სალომე ფახურიძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი-**მიხეილ სვანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი-**ზვიად კაპანაძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.„ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: მიხეილ სვანაძე

3. ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) მდებარე შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე განთავსებული 17.5 კვმ ფართის სსიპ ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური"- სთვის (ს/კ 205309637) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხს: გიგა გოგიბერიძე

4. ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში განთავსებული 247 ცალი გარე განათების ბოძის (ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე 10502 მეტრი, ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე 9815.29 მეტრი (ს/კ 31.00.209)) და 83 ცალი გარე განათების ბოძის (ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე 3469 მეტრი, ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე 3241.95 მეტრი (ს/კ 31 00 372)) შპს ,,ლუკნეტი"-სთვის (ს.კ 404913233) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით 5 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხს: გიგა გოგიბერიძე

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა განმარტა, რომ დადგენილების პროეტის მიხედვით ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრება 6750.0 ათასი ლარის ოდენობით, ვანის მუნიციპალიტეტის

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვრება 6164.1 ათასი ლარის ოდენობით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები-145.0 ათასი ლარის ოდენობით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები-440.9 ათასი ლარის ოდენობით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები-7209,0 ათასი ლარის ოდენობით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 185.0 ათასი ლარით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრება-459,0 ათასი ლარით, ხოლო მთლიანი სალდო -644,0 ათასი ლარის ოდენობით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრება-700,0 ათასი ლარის ოდენობით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება-56,0 ათასი ლარის ოდენობით, ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ასიგნება განისაზღვროს-445,0 ათასი ლარის ოდენობით; დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ასიგნებები განისაზღვროს 500,0 ათასი ლარის ოდენობით, განათლების პრიორიტეტის დაფინანსების ასიგნება განისაზღვროს 1600,0 ათასი ლარის ოდენობით.

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ასიგნების მოცულობა განისაზღვროს 1519,0 ათასი ლარით,

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 788,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს 7600,0 ათასი ლარით,

2021 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 140.0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

(დადგენილება: N 28)

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება არცერთ სოციალურ პროგრამას არ შეხებია, დარჩა ისევ 14 სოციალური პროგრამა: „ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, სამედიცინო დახმარების პროგრამა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულთა დახმარების პროგრამა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამა, მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა, დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა, ვეტერანთა დახმარების პროგრამა, მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების პროგრამა, სტუდენტთა დახმარების პროგრამა, ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა, უსახლკაროთა დახმარების პროგრამა, სარიტუალო დახმარების პროგრამა"

აღსანიშნავია, რომ ყველა პროგრამა იქნა განხორციელებული გარდა ერთი პროგრამისა „ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა" ისევ წინა წლების მსგავსად გამოწვევად რჩება აღნიშნული პროგრამის გამოუყენებლობა, რაც განპირობებულია იმით, რომ შესაბამისი ბენეფიციარი დახმარებით არ მოგვმართავს და ამდენად ამ მიმართულებით ახალი მეთოდი უნდა გამოვიყენეოთ, მომავალში ვგეგმავთ ინფორმირებულობის გაზრდას, რაშიც ასევე მნიშვნელოვანია დეპუტატების როლი, რათა მაქსიმალურად გავრცელდეს ინფორმაცია ამ პროგრამის არსებობის შესახებ.

„ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამით გათვალისწინებული სერვისის გამოყენება რომ მოხდეს, მაქსიმალურად უნდა გავრცელდეს ინფორმაცია ამ პრობლემების შესახებ, თუმცა გამომდინარე იქედან რომ ოჯახში ძალადობა დაფარული პრობლემაა, მიმართვიანობაც დაბალია ამას ემატება ისიც, რომ პროგრამით ისარგებლებს ბენეფიციარი იმ შემთხვევაში თუ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა -

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა. აღნიშნული კრიტერიუმები კი ართულებს მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას.

აზრი გამოხატა: საკრებულოს წევრმა შალვა ლორთქიფანიძემ კითხვით მიმართა მომხსენებლს, „დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები არასრულწლოვანი გვყავს, რომელიც შშმ პირია და ასევე სოციალურად დაუცველი, ამას ემატება ისიც, რომ მასზე ძალადობს ბიძა, თან არ აქვს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და როგორ შეიძლება დავეხმაროთ ამ ბავშვს?

მომხსენებელმა-მიხეილ სვანაძემ აღნიშნა, რომ გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნულ პირის, როგორც მსხვერპლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პროგრამას ვერ მოვარგებთ, ამდენად განცხადებით მოგვმართეთ და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას გავუწევთ.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური პროგრამების“ დამტკიცების შესახებ

(დადგენილება: N 29)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა საკრებულოს წევრმა -გიგა გოგიბერიძემ (ზვიად კაპანაძის არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი, ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) მდებარე შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე განთავსებული 17.5 კვმ ფართის სსიპ ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური”- სთვის (ს/კ 205309637) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ რომლის მიხედვითაც ვანის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა აღნიშნული უძრავი ნივთის გადასცეს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) მდებარე შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე განთავსებული 17.5 კვმ ფართის სსიპ ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური"- სთვის (ს/კ 205309637) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე"

(განკარგულება: N 27 31)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმიდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა გოგიბერიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში განთავსებული 247 ცალი გარე განათების ბოძის (ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე 10502 მეტრი, ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე 9815.29 მეტრი (ს/კ 31.00.209)) და 83 ცალი გარე განათების ბოძის (ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე 3469 მეტრი, ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე 3241.95 მეტრი (ს/კ 31 00 372)) შპს ,,ლუკნეტი"-სთვის (ს.კ 404913233) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით 5 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე"

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს „ლუკნეთი" გეგმავს სოფ. შუამთაში ინტერნეტიზაციას და შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა გარე განათების ბოძები შპს ,,ლუკნეტი"-ს (ს.კ 404913233) გადაეცეს ოპტიკურბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში განთავსებული 247 ცალი გარე განათების ბოძის (ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე 10502 მეტრი, ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე 9815.29 მეტრი (ს/კ 31.00.209)) და 83 ცალი გარე განათების ბოძის (ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე 3469 მეტრი, ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე 3241.95 მეტრი (ს/კ 31 00 372)) შპს ,,ლუკნეტი"-სთვის (ს.კ 404913233) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით 5 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე"

(განკარგულება: N 27 30)

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების

საკრებულოს სხდომაზე დასწრების ფურცელი

N	საკრებულოს წევრების სახელი და გვარი	ხელმოწერა	სხდომის ჩატარების თარიღი
1	ალექსანდრე ლილუაშვილი		28 დეკემბერი 2020 წელი
2	გიორგი ივანიაძე		
3	გელა ჩიკვაიძე		
4	ტარიელ ბარამიძე		
5.	რამაზ არველაძე		
6.	გიგა გოგიბერიძე		
7.	კობა ტოხვაძე		
8.	გელა ვარდოსანიძე		
9.	კობა ძაგნიძე		
10.	ეთერი ჭიჭინაძე		
11.	ვლადიმერ ჭვალაძე		
12.	დავით ხარძეიშვილი		
13.	თამთა დვალიშვილი		
14.	თამარ შენგელია		
15.	ბიჭიკო პაიკიძე		
16.	ალექსანდრე ოქროპილაშვილი		

17.	ოლეგი მიქელთაძე		28 დეკემბერი 2020 წელი
18.	გია ხარაბაძე		
19.	ივანე კორძაძე		
20.	მალხაზ ცერცვაძე		
21.	შალვა ლორთქიფანიძე		
22.	რობიზონ ფუტკარაძე		
23.	ამირან ტალახაძე		
24.	პაატა ხურციძე		
25.	ვარლამ გიორგაძე		
26.	თენგიზ დვალიშვილი		
27.	გელა ღვიტიძე		
28.	სანდრო ხურციძე		
29.	შოთა გიორგაძე		
30.	მერაბ ხურციძე		
31.	დავით ადეიშვილი		
32.	დავით კაკაბაძე		
33.	გია ოჩხიკიძე		
34.	აპოლონ რამიშვილი		
35.	თორნიკე ერისთავი		